**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# დოლაბერიძე იამზე ვლადიმერის ასული

დოლაბერიძე იამზე ვლადიმერის ასული (დ. 7. XII. 1939, თბილისი), ბალეტის მსახიობი, მოცეკვავე. საქართვ. სახ. არტისტი (1971).

1958 დაამთავრა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრთან არსებული ქორეოგრ. სასწავლებელი და იმავე წელს ჩაირიცხა ამავე თეატრის საბალეტო დასში, სადაც ცეკვავდა 1960-მდე.

ი. დოლაბერიძე

1960–75 დ. ქართ. ხალხ. ცეკვის სახელმწ. აკად. ანსამბლის წამყვანი მოცეკვავე იყო (ხელმძღვ. ი. სუხიშვილი და ნ. რამიშვილი). ამ ანსამბლში წარმატებით შეასრულა სოლო პარტიები ცეკვებში: „აჭარული", „ხევსურული", „ყარაჩოხელი". განსაკუთრებით აღსანიშნავია დ-ს მიერ ფ. სულაბერიძესთან ერთად შესრულებული ცეკვა „ქართული", რისთვისაც ქართ. ხალხ. ცეკვის ინდივიდ. შემსრულებელთა რესპ. კონკურსზე პირველი ადგილი და ოქროს მედალი მოიპოვა (1962, 1968).

ი. დ ო ლ ა ბ ე რ ი ძ ე ცეკვა „ქართული".

დ-ის ცეკვა გამოირჩეოდა დახვეწილი პლასტიკით, განსაკუთრებული სიმსუბუქითა და არტისტიზმით. ოპერისა და ბალეტის თეატრში ასრულებდა ქართ. ცეკვებს ოპერებში: „აბესალომ და ეთერი", „დაისი", „ქეთო და კოტე"; აგრეთვე ცეკვავდა ბალეტებში: „ექიმი აიბოლიტი", „ოტელო", „მშვიდობისათვის", „გორდა".

1972 დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკად. მოდელირების ფაკ-ტი; ერთხანს იყო ანსამბლ „რუსთავის" სოლისტი და მხატვარი, ქმნიდა მოცეკვავეთა სამოსის ესკიზებს. დ. 1979–2010 ეწეოდა პედ. მოღვაწეობას სხვადასხვა ქორეოგრაფიულ სტუდიებში, მისივე დაარსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლ „იამზეში" (ანსამბლის კოსტიუმების მხატვარიც თავად იყო). მის მრავალრიცხოვან მოსწავლეთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია თ. დარჩია, ნ. ჯოხაძე და სხვ.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1996).

***ა. თათარაძე***